

## Donald Rayfield turns 80

### დონალდ რეიფილდი - 80

Donald Rayfield, a prominent Kartvelian studies scholar, Ph.D., professor at Queen Mary University of London, and a loyal friend of the Georgian people, has turned 80 years old. Academician R. Metreveli, the Journal's editor-in-chief, wishes him a happy anniversary.

გამოჩენილ ბრიტანელ ქართველოლოგს, ფილოსოფიის დოქტორს, ლონდონის უნივერსიტეტის დედოფალ მერის სახელობის კოლეჯის პროფესორს, ქართველი ხალხის ერთგულ მეგობარს დონალდ რეიფილდს 80 წელი შეუსრულდა.

დ. რეიფილდი მრავალმხრივი მოღვაწეა. მის შემოქმედებაში თანაბრად არის შერწყმული ლიტერატორი, ლინგვისტი, ისტორიკოსი და მთარგმნელი.

დ. რეიფილდის კალამს ეკუთვნის სქელტანიანი ნაშრომი „საქართველოს ლიტერატურა. ისტორია“ (ლონდონი, 2000წ.), რომელიც ინგლისურენოვან მკითხველთა ფართო აუდიტორიას წარუდგენს ქართული ლიტერატურის განვითარების ეტაპებსა და ძირითად წარმომადგენლებს V საუკუნიდან თანამედროვეობამდე. მისი რედაქტორობითა და უშუალო მონაწილეობით, ქართველ და ბრიტანელ ლინგვისტებთან ერთად მომზადდა და ლონდონში გამოიცა უნივერსალური „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“ ორ ტომად (20006 წ.).

დ. რეიფილდმა ვრცელი ნაშრომი უძღვნა საქართველოს ისტორიას - „იმპერიათა გზაჯვარედინი. საქართველოს ისტორია“ (ლონდონი, 2013), სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია საქართველოს პოლიტიკური ისტორია უძველესი დროიდან ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე. ამგვარი ზოგადი და მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომის მიზანია ინგლისურენოვან საზოგადოებას კონდენსირებული სახით მიაწოდოს ისტორიოგრაფიაში დაგროვილი ცოდნა საქართველოს ისტორიული განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ. ამასთან ავტორი არაერთ ორიგინალურ მოსაზრებას თუ საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს ცალკეული საკითხების ირგვლივ. სავსებით კანონზომიერია, რომ ეს წიგნი ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულადაც.

დასავლეთის სოვეტოლოგიურ ნაშრომებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს დ. რეიფილდის წიგნი „სტალინი და მისი ხელქვეითები“ (ლონდონი, 2004), რომელიც გამოცემიდან მოკლე ხანში ითარგმნა ესპანურ, გერმანულ, იტალიურ, ჩეხურ, პოლონურ და სხვ. ენებზე.

დ. რეიფილდმა ინგლისურ ენაზე თარგმნა ქართველი მწერლების - ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილის, ო. ჭილაძის ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ მისი დიდი ძალისხმევით ო. ჭილაძე ნობელის პრემიაზე წარადგინეს (1999 წ.).

დ. რეიფილდი ფართოდ თანამშრომლობს ქართველ სამეცნიერო და შემოქმედებით საზოგადოებასთან, რომელიც, თავის მხრვ, შეუწელებელი ყურადღებითა და მადლიერებით ადევნებს თვალს მის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

გულითადად ვულოცავთ ბატონ დონალდს სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ პირად და შემოქმედებით ბედნიერებას.

აკადემიკოსი **რ. მეტრეველი**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
ვიცე-პრეზიდენტი